სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

23 იანვარი 2025

N 26/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევში შპს „ევროცემენტის“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (წარმადობის 86400 ტონიდან 168000 ტონამდე გაზრდა) სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ასევე მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევში შპს „ევროცემენტის“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (წარმადობის 86400 ტონიდან 168000 ტონამდე გაზრდა) სკოპინგის დასკვნა N3;
2. შპს „ევროცემენტი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N3 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ევროცემენტს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ევროცემენტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და კასპის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ, მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/26-21-4-202501231551